პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ცვლილება შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ N78 განკარგულებაში და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „მუხლი 1.
   „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩას და სამ შესახვევს მიენიჭოს ზაზა ცინცაძის სახელი თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად“.
2. ცვლილება შევიდეს განკარგულების თანდართულ ორთოფოტოში და შეიცვალოს ახალი ორთოფოტოს თანდართული რედაქციით.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.